

ოქმი N6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2019 წელი, 3-აპრილი

ქ. ოზურგეთი

11.00 სათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ე.გორდელაძე, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვაძე, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ბ.ქათამაძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ნ.ორაგველიძე, ვ.ბერიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკემკოჩაიშვილი, ვ.ნიჟარაძე, ვ.ჩხაიძე, ბ.თოიძე, ალ.დლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ვლ.დლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ალ.სურგულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლიც

დამტკიცეს 33 ხმით.

დღის წესრიგი

9.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალექსანდრე ბერიძე

გიორგი ჩაგანავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა პროექტის მე-5 პრიმა პუნქტის თაობაზე, სადაც გადაწყვიტეს ნაცვლად „რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე“ , ჩაიწეროს „მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე განისაზღვროს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ოდენობით“ და 5¹-პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „5¹ დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას დარიცხვის ალტერნატიული წესი ფაქტიურად წარმოქმნილი ნარჩენის შესაბამისად, ნარჩენების შეგროვების ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებით, მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე განისაზღვროს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ოდენობით“.

10..2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

11..3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკითხის განხილვისას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა -პროექტში გათვალისწინებულია თუ არა

გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე ბინების საერთო რაოდენობის 30% დან 10% - მდე ჩამოყვანა? მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროცენტის შემცირების.

12.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე

თემურ გიორგაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ლურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა პროექტის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თაობაზე - მიეცა შესაბამისი განმარტება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ განაცხადა, რომ არ იქნა გათვალისწინებული მისი წინადადება გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საწყისი ფასის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრის თაობაზე.

22.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

23.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

24.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის “გურიის ქუჩა“ -ის სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

25.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „ჩირეს“- სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკითხის განხილვისას თანამომხსენებელმა, ლ.ბიგვავამ, მოუწოდა საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს იაქტიურონ ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩების სახელდებისათვის.

26.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე

ლაშა თავაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ -გ.ღურჯუმელიძემ, მიმდინარე წლის 16 აპრილს, 11.00 საათზე, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ღია კარის დღის სხდომის გამართვის თაობაზე და მოუწოდა საკრებულოს წევრებს მოსახლეობაში გაავრცელონ ეს ინფორმაცია.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო